ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №69936

ნომერი: AR125688

თარიღი : 24.02.2012

გაცემის თარიღი : 06.03.2012

გაცნობის თარიღი : 06.03.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 96 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გია ხორგუაშვილი პ/ნ 01021017518
- თბილისი თემქა III მ/რ I კვ. კორ. 19 ბ. 36

ორგანიზაცია:
- სს "ჯიპისი აფთიაქი" კოდი: 201991229

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს კულტურის ძგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს გაერთიანებული სამეცნიერო–მეთოდური საბჭოს დებულების მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე–2 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის შესაბამისად განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განსახილველად წარედგინა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილ სათათბირო ორგანოს – გაერთიანებული სამეცნიერო–მეთოდურ საბჭოს (ოქმიN9,

28.02.2012წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც უარი ეთქვა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, დავით აღმაშენებლის გამზირის N96–ში (ძეგლი) არსებულ შენობაზე, სარეკლამო აბრის მოწყობის საკითხს საბჭოს წევრების რეკომენდაციების გათვალისწინებით: (წარმოდგენილი იქნას სხვა ვარიანტი).
სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. გ. ხორგუაშვილს უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქ. გ. ხორგუაშვილს, ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, დავით აღმაშენებლის გამზირის N96–ში (ძეგლი) არსებულ შენობაზე, სარეკლამო აბრის წარმოდგენილი ვარიანტის მოწყობის თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.